# ბ ო რ ჯ ო მ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

21 ნოემბერი
ხუთშაბათი
2024 წელი
№47 (9361)
ფასი 40 თეთრი


## საპარლამენტო მანდატები გადანაწილდა

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმის თანახმად, საარჩევნო ბარიერი 4-მა ოპოზიციურმა პარტიამ გადალახა, რომლებიც პარლამენტში, ჯამში 61 მანდატით იქნებიან წარმოდგენილი. მათგან ამომრჩეველთა ყველაზე დიდი 11.03%-იანი მხარდაჭერა და 19 მანდატი, „კოალიციამ ცვლილებისთვის“ მიიღო. „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობას“ 16 მანდატი აქვს, „ძლიერი საქართველოს“-14; პარტიას, „გახარია საქართველოსთვის“ კი-12.

არჩევნებში მონაწილე დანარჩენი საარჩევნო სუბიექტის შედეგები ასეთია: „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“ 3 892 ხმა, 0.19%; „კოალიცია ცვლილებისთვის“ - 229 161 ათასი ხმა, 11.03%, მანდატების რაოდენობა - 19. „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობა“ - 211 216 ხმა, 10.17%, მანდატების რაოდენობა - 16; „ევროპელი დემოკრატები“ - 7955 ხმა, 0.38%; „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - 50 599 ხმა, 2.44%; „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ - 182 922 ხმა, 8.81%, მანდატების რაოდენობა 14; „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ - 15 103 ხმა, 0.73%; „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“ - 1845 ხმა, 0.09%; „შეცვალე საქართველო“ - 12 528 ხმა, 0.60%; „საქართველო“ - 2780 ხმა, 0.13%; „თავისუფალი საქართველო“ 4 145 ხმა, 0.20%; „ტრიბუნა“ - 2 483 ხმა, 0.12%; „ჩვენ“ 2593 ხმა, 0.12%; „გახარია საქართველოსთვის“ - 161 521 ხმა, 7.78%, მანდატების რაოდენობა 12. „მეგმარცხენე ალიანსი“ 1260 ხმა, 0.06%; „ქართველთ ერთობა“ - 4500 ხმა, 0.22% „გირჩი“ - 62 223 ხმა, 3%; „ქართული ოცნება“ 1 120 053; 53.93%, მანდატების რაოდენობა 89.

## ბორჯომის მინწყალი საერთაშორისო გამოფენაზე

ჩინეთის საერთაშორისო იმპორტის გამოფენაზე, ქართული მინერალური წყალი „ბორჯომი“ წელს მესამედ იყო წარმოდგენილი.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, ქართული კომპანიები ვიზიტორებს მთელი მსოფლიოდან აცნობენ ქართულ კულტურას, ისტორიას და სხვადასხვა პროდუქტის ტრადიციულ წარმოებას.

## გზის ინფრასტრუქტურული პროექტები - მოქმედებაში!

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკურორტო სოფელ ცეშში ძიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, ბერის საყდრებამდე მისასვლელი გზის 772 მეტრიან მონაკვეთზე არმირებული ბეტონის საფარი ეწყობა.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება და სამუშაოებს შპს „მშენებელი- 2012“ ახორციელებს.

პროექტის მიზანია, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მიტარბთან მისასვლელი გზის დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაცია დასრულდა.

პროექტის მიხედვით, სოფელ პატარა მიტარბთან მისასვლელი გზის 1.026 კმ-იან მონაკვეთზე არმირებული ბეტონის საფარი მოეწყო.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შესაბამისად მომავალშიც საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება იგეგმება.



## ლიფტების დამონტაჟება დაიწყო

ბორჯომში, მესხეთის ქუჩის №29-ში, თორის ქუჩის №116, №118 და №120-ში მდებარე მაღალსართულიანი კორპუსების სადარბაზოებში ახალი ლიფტების მოწყობა დაიწყო. პროექტის განხორციელების შემდგომ მაღალ სართულზე უსაფრთხოდ გადაადგილების პრობლემა 200-მდე ოჯახს მოუგვარდება. ახალი ლიფტების სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება 401 316 ლარია.

ინფრასტრუქტურული პროექტი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

## არჩევნები კანონის სრული დაცვით წარიმართა

საქართველოს პარლამენტის არჩევნები, საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, სრულად პროპორციული სისტემით ჩატარდა.

საარჩევნო ადმინისტრაციამ არჩევნების მაღალპროფესიულ დონეზე ჩატარება უზრუნველყო. თუმცა, ოპოზიცია დღემდე მაინც უცვლელად უყენებს ბრალს ცესკოს და 26 ოქტომბრის არჩევნებს გაყალბებულს უწოდებს.

როგორ ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები ბორჯომის მუნიციპალიტეტში, რამდენად მომზადებული შეხვდა ბორჯომელი ამომრჩეველი ახალ ტექნოლოგიებს და რა სახის დარღვევები გამოვლინდა არჩევნების დღეს, ამ და სხვა კითხვებზე დეტალურად №36-ე ბორჯომის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თამარ რაზმაძე** გვესაუბრა:

**● თქვენ როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე როგორ შეაფასებთ 26 ოქტომბრის არჩევნებს?**

- 2024 წლის 26 ოქტობრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში, ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა, წარმატებით განხორციელდა. საარჩევნო ადმინისტრაციის თითქმის ორწლიანმა დაუღალავმა შრომამ სათანადო შედეგი გამოიღო და დღეს სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენს მიერ პროცესის დაგეგმარება და ორგანიზება სწორად იყო წარმართული. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა საარჩევნო უბანზე საარჩევნო პროცედურები წარიმართა საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ სრული დაცვით, რაზეც მოწმობს ის ფაქტი, რომ პროცედურულ დარღვევაზე კენჭისყრის დღეს საოლქო საარჩევნო კომისიაში დაინერა მხოლოდ ერთი საჩივარი.

**● ასევე საუბარია ბაკურიანის №11 უბანზე, სადაც არჩევნები კვლავ ტრადიციული წესით ჩატარდა, რეგისტრირებული 514 ადამიანი გახლდათ, ხოლო ხმის მისაცემად 599 ადამიანი მივიდა. ამასთან დაკავშირებით უამრავი ნეგატივი დაიწერა. თქვენ რას გვეტყვით?**

- ბაკურიანის საარჩევნო უბანზე სულ რეგისტრირებული იყო 1144 ამომრჩეველი, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სულ 702-მა ამომრჩეველმა, შესაბამისად, ინფორმაცია რომელსაც ხშირად ვისმენთ ტელევიზიებიდან და სოციალური ქსელებიდან არის მიზანმიმართული წარმატებულად ჩატარებული არჩევნების და საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციისკენ. მონაცემებში, რომელიც „სამართლიანმა არჩევნებმა“ ცესკოსგან მიიღო, იყო ადამიანური შეცდომით გამოწვეული ხარვეზი, რაც საარჩევნო ადმინისტრაციამ, როგორც პასუხისმგებლიანმა უწყებამ, თავადვე დაადასტურა. კერძოდ, №11 ბაკურიანის საარჩევნო უბნიდან, არჩევნებში მონაწილე ქალების გადმოგზავნილ რაოდენობაში არსებულმა უზუსტობებმა გამოიწვია ცდომილება ამომრჩევლის სქესის აღრიცხვაში, „სამართლიანი არჩევნების“ მცდელობა, განაზოგადოს საქართველოს მასშტაბით სულ №11 უბანზე დაშვებული უზუსტობები და ეს „მნიშვნელოვან შეუსაბამობად“ მონათლოს, მით უფრო, წარმოაჩინოს არჩევნების გაყალბების დამადასტურებელ ფაქტად, უბრალოდ, არასერიოზულია. კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ ამომრჩეველთა ზუსტი აქტივობა ასახულია იმ შემაჯამებელ ოქმებში, რომელიც დგება საარჩევნო უბნებზე და სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით დგინდება საბოლოო აქტივობა, რომელიც ფიქსირდება არჩევნების შემაჯამებელ ოქმში. გენდერული სტატისტიკა არ შეიტანება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემებში და ის კავშირში არაა კენჭისყრის შედეგებთან. მოყვანილი ფაქტები ცნობილია ყველა ჩართული მხარისთვის, მათ შორის, მათთვისაც, რომელთა ინტერესს, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, საზოგადოებისთვის ფაქტების მიწოდების ნაცვლად ინფორმაციით მანიპულირება წარმოადგენს.

**● საინტერესოა თქვენი მოსაზრება იმ ბრალდებებზე, რომელსაც ოპოზიციური პარტია საარჩევნო კომისიას უყენებს და არჩევნებს გაყალბებულს უწოდებს, თუმცა რეალურად ხელმოსაჭიდი ფაქტები არ აქვთ?**

- მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, ბრალდებების ავტორთა მიზნები საეჭვო ხდება. დასაბუთების გარეშე ეს პრეტენზიები საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და საარჩევნო პროცესისადმი ნდობის შელახვის საფრთხეს წარმოადგენს. გარდა ამისა, უსაფუძვლო ბრალდებები შეიძლება ემსახურებოდეს პოლიტიკურ ინტერესებს.

**26 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით სხვადასხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების, მათ შორის ეუთო-ოდირის, „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI), „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI), „არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელის“ (ENEMO), „ევროპული პლატფორმა დემოკრატიული არჩევნებისათვის“ (EPDE) მიერ არჩევნების ადმინისტრირება დადებითად შეფასდა. ასევე, დადებითად არის შეფასებული წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული არაერთი საქმიანობა.**

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

## ტბასა და დაბაში სკვერები მოეწყო



სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ტბასა და დაბაში სკვერები მოეწყო.

პროექტის ფარგლებში დაბის სკვერში საბავშვო ატრაქციონები განთავსდა, ხოლო სოფელ ტბაზე შემოიღობა ტერიტორია, დამონტაჟდა საბაღე სკამები და გამწვანდა ტერიტორია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეხვედრები მუნიციპალიტეტის 33 სოფელში გაიმართა. სოფლის კრებებზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ხმათა უმრავლესობით შეარჩიეს ის პრიორიტეტული პროექტები, რომელთა განხორციელებასაც დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა მოხმარდება.

2024 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან 436 000 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 872 000 ლარი გამოიყო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

## მრავალბინიან სახლებს რეაბილიტაცია ჩაუტარდა



ბორჯომში, მესხეთის №29-ში, რუსთაველის №77-ში, ვაშლოვანის №52-ში და აღმაშენებლის №22-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია დასრულდა. ხოლო დაბა ბაკურიანში გოდერძი ჩოხელის №86-ში სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტის მიხედვით მოხდა ძველი სახურავის დემონტაჟი, დაზიანებული ხის კონსტრუქციები ახლით შეიცვალა და მოეწყო ახალი სახურავი. ვაშლოვანის №52-ში სახურავის რეაბილიტაციასთან ერთად კორპუსს გამაგრების სამუშაოები ჩაუტარდა, ხოლო რუსთაველის №7-ში ფასადის რეაბილიტაციაც განხორციელდა.

ინფრასტრუქტურული პროექტი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

## საღღეისო თემაზე

# ამდენ მტერს და მოღალატეს მაკედონელიც ვერ დაამარცხებს

**26 ოქტომბრის შემდეგ აღარ ვაპირებდი საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების თაობაზე წერილის დაწერას, რადგან არჩევნების მეორე დღესაც ქვეყანაში საოცარი სიმშვიდე იგრძნობოდა. ოპოზიციამ „ქართული ოცნების“ შემდეგ მართლაც არნახული ხმები მიიღო.**

**ოთხმა რადიკალურად გაერთიანებულ-გამსხვილებულმა პარტიამ 61 მანდატი მოიპოვა და ვიფიქრე, ალბათ, პარლამენტში გაჩაღებულ დებატებში ამჯერად მაინც გამოიჩენენ გონიერებას და სამშობლოს მომავალი განვითარებისათვის იზრუნებდნენ.**

არ გეტკინოთ არაფერი, ჩემი და თქვენი ოცნებები საპნის ბუშტივით გასკდა. დავით აღმაშენებელს აქვს მეტად მხარედ, მაგრამ სამართლიანად ნათქვამი ფრაზა, ცნობილი რუის-ურბნისის კრების შემდეგ იმდროინდელ სასულიერო პირებზე, ვინც ურჩობდა და კანონებს არ ემორჩილ;ებოდა: **„არ გასწორდების ვითარცა ძაღლის კუდი“**. ურჩ და გაზულუქებულ სამღვდელოების მაღალი ეშელონების წარმომადგენლებს ქუსლები დააჭრა, ზოგი ძელზე გააკრა და ასეთი სისასტიკით სანიმუშო წესრიგი დაამყარა ქვეყანაში.

არჩევნებამდე გაჩუმებულმა ოპოზიციონერებმა რუსთაველის პროსპექტს მიაშურეს, მართალია მრავალრიცხოვნებით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს, პერმანენტული აქციების გამართვა, ერთადერთი მოთხოვნით - **„ხელისუფლებამ არჩევნები მოგვპარა და გაგვიყალბა“.** მას შემდეგ თბილისში, ბათუმში, ქუთაისში სისტემატური ხასიათი მიეცა აქციების ჩატარებას.

ხელისუფლებამ ოპოზიციას ურჩია საჩივარი სასამართლოში შეეტანათ. პროკურატურას დაევალა გამოევლინა კონკრეტული დამნაშავეები. ქვეყნის პრეზიდენტმა, რომელიც კონსტიტუციის დაცვის გარანტი უნდა იყოს, არჩევნების შემდეგ განაცხადა, - არჩევნები რუსული იყოო, თუ რაში გამოიხატება არჩევნების რუსულობა, აღარ დაუკონკრეტებია, გენპროკურატურამ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი დაკითხვაზე დაიბარა და საერთოდ არ გამოცხადდა ბრალდების სამართლიანობის გასარკვევად.

ოპოზიცია კატეგორიულად აცხადებს, ხელისუფლებამ არჩევნები მოგვპარაო, გააყალბაო, ქვეყანაში 3111 საარჩევნო უბანი იყო და თითოეულ უბანში სულ ცოტა 3-3 ოპოზიციის წარმომადგენელი მაინც ესწრებოდა არჩევნების მიმდინარეობას, არცერთ დამკვირვებელს საფუძვლიანი საჩივარი არ დაუნერია, სულ 7 საჩივარი შევიდა ცესკოში და სასამართლოში, რომელთა განხილვის შემდეგ დადგინდა, რომ ამ საჩივრებს არანაირი გავლენა არ მოუხდენია არჩევნებზე.

არჩევნების ობიექტურად და სამართლიანად ჩატარების თაობაზე საზღვარგარეთიდან ეუთოს და ოდეერის ასობით დამკვირვებელი თითქმის ყველა საარჩევნო უბანში აკვირდებოდა არჩევნების მიმდინარეობას, არცერთს პრეტენზია და სერიოზული საჩივარი არ გამოუთქვამს, პრეტენზია მხოლოდ რადიკალურ ოპოზიციას აქვს.

ოპოზიციამ დაიწუნა ამერიკიდან შემოტანილი ელექტრონული ხმის მიცემის აპარატურა, რომელიც უშეცდომოდ მუშაობს, სწორედ ამ აპარატებში ჩატვირთული ხმის მიცემის ფურცელზე აღმოაჩინეს შავი წერტილი და არჩევნების სამართლიანობაც ეჭვის ქვეშ დადგა, რასაც დაემატა ,,ქართული ოცნების“ მიერ 300 ათასი ამომრჩევლის ყალბი ბიულეტენის არსებობა, რასაც დღემდე ეძებენ და ვერ აღმოაჩინეს.

ამ მოჯადოებულ ფაქტებზე დაიწყო აქციები, თბილისში გადაიკეტა ცენტრალური ქუჩები და პროსპექტები, გაშალეს ტრადიციული კარვები, საზღვარგარეთელი მეგობრებისაგან ელოდებიან მორიგ მითითებებს, რაც მთავარია, ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებმაც გადალახეს 5 პროცენტიანი ბარიერი მტკიცედ განაცხადეს უარი პარლამენტში შესვლაზე, რაც საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევაა.

ცესკომ, 16 ნოემბერს, თავის დასკვნით სხდომაზე, საპარლამენტო არჩევნები ლეგიტიმურად ცნო და კანონის მოთხოვნების შესაბამისად ჩატარებულად აღიარა.

მიუხედავად ამისა რადიკალური ოპოზიცია ძირითადად ის პარტიებია, რომლებმაც არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა და კატეგორიულად აცხადებენ, ხელისუფლებამ არჩევნები მოგვპარა, გაყალბების გზით მოიპოვა გამარჯვება. სამწუხაროდ, ოპოზიციას არცერთი ფაქტი და სამხილი არ აქვს წარდგენილი სასამართლოსა და პროკურატურაში. საოცარია, ნუთუ ასე ძნელია სიყალბის, ჩადენილი დანაშაულის ფაქტების მხილება და დამტკიცება?!

17 ნოემბერს ოპოზიციური ძალების მიერ გადაიკეტა თბილისში რუთაველის და ჭავჭავაძის პროსპექტები, სხვა ხალხმრავალი ქუჩები. თბილისი კვლავ კარვების ქალაქად გადაიქცა.

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ვაშაძე** საზოგადოებას მოუწოდებს, - **„რაც შეიძლება მეტი ხალხი უნდა გამოვიდეს აქციაზე. დავუმტკიცოთ მატყუარა ხელისუფლებას ჩვენი ძალა“.**

ოპოზიციონერი **ლაშა ბაქრაძე** ამტკიცებს, რომ **„16 ნოემბერს ცესკომ დაამტკიცა არჩევნების შედეგები, რაც ხალხის შეურაცხყოფაა“.**

ტყუილი და ცილისწამება რამდენიც გინდა, სამწუხაროდ სამართლიანი ფაქტი არც სასამართლოში და არც პროკურატურაში არ ჩანს. არადა, 16 ნოემბერს ცესკოს შემაჯამებელ სხდომის მიმდინარეობისას არჩევნების კომისიის თავმჯდომარეს, გიორგი კალანდარიშვილს ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა შავი საღებავი შეასხა სახეში, რაც ხელისუფლების მხრიდან ფაშისტურ გამოვლინებად შეფასდა. სხვათაშორის ითქვა ისიც, რომ გიორგი კალანდარიშვილს ორჯერ სახლშიც მიუვარდნენ გაბოროტებული ოპოზიციონერები.

ფაქტები ჯიუტია, საზღვარგარეთელი „მეგობრები“ არ პატიობენ საქართველოს ხელისუფლებას არჩევნებამდე მიღებულ კანონებს, რომელიც ოჯახურ სიწმინდეს და საზღვარგარეთიდან არასამთავრობო ორგანიზაციების უკანონო დაფინანსებას ეხება. არადა, მართლაც საკვირველია, თუ საქართველოსთვის მიუღებელია უკანონო შემოსავლების თაობაზე კანონის მიღება, რატომ მიიღო ასეთივე კანონი ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, კანადამ, თვით აშშ-მ. ამ კანონიერების თაობაზე რატომ არ ისმის საზღვარგარეთიდან ხმა. უცხოელი მეგობრების მხარდაჭერის გარეშე **ქართველი უსამშობლოები, ომს მოწყურებული ოპოზიციონერები პერმანენტულ აქციებს ვერ გაბედავდნენ.** ისინი მზად არიან ვასალების როლში გამოვიდნენ და როგორმე მათი დახმარებით ქვეყნის სათავეში მოექცნენ, მაგრამ რა „სიკეთესაც“ მოუტანენ ჩვენს ბედკრულ ქვეყანას, აქედანვე ნათელია.

ძალიან საგანგაშოა დღეს შექმნილი ვითარება ჩვენს სამშობლოში, ანდა რა გვიკვირს, საუკუნეების მანძილზე ასეთ დღეში არ იყვნენ ჩვენი წინაპრები?!

ახლაც იმავე წრეზე ვტრიალებთ, **„უჩემოდ ვით იმღერეთა“** ხომ გახსოვთ?!

შეძლებენ თუ არა ჩვენი ქვეყნის მართვას ოპოზიციური ძალები, საკითხავი ესაა.

აი, რას ამბობს კოალიცია ,,ცვლილებებისათვის“ ლიდერი **ნიკა გვარამია,** რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ ტელეეთერში გამოსვლისას უკიდურესი თავხედობით განაცხადა ,,ჩაგი....ვით“ **(ცენზურა ჩვენია)** ღვინოში და ,,ბორჯომში“, დღეს ხმამაღლა აცხადებს **„პარლამენტი ვერ უნდა შედგეს, ვერ უნდა შევიდეს იმ შენობაში... კვირეებში უნდა მორჩეს ეს ხელისუფლება“**.

ნაცმოძრაობის აქტივისტი და მიხეილ სააკაშვილის გულმხურვალე თანამდგომი **სოფო ჯაფარიძე** კატეგორიულად აცხადებს: **„ჩვენი გეგმის ფუნდამენტურ ნაწილს შეადგენს საპროტესტო აქციები, ჩვენ არ შევდივართ პარლამენტში“**, ამას ისე დამაჯერებლად აცხადებს, თითქოს ვინმე ეხვენებოდეს პარლამენტში შესვლას.

როგორც ,,ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ: **„ოპოზიციის შეუსვლელობით პარლამენტის მუშაობა არ შეფერხდება“.**

სხვათაშორის ოთხი წლის წინათაც ოპოზიციას არ უნდოდა პარლამენტში შესვლა, მაგრამ შვიდი თვის შემდეგ მაინც შევიდნენ, (თუმცა ისიც უნდა ითქვას, ვიცოდეთ, რა სიკეთეს მოუტანს საპარლამენტო მუშაობას მათი შესვლა), ეს უკვე სხვა თემაა, ჩვენდა სამწუხაროდ.

ოპოზიციის დღევანდელი საქმიანობის შესახებ ,,მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ დირექტორმა **პეტრე მამრაძემ** განაცხადა: **„გამიხარდება, თუ ეს ანტიეროვნული ძალები, ეს აღზევებული ლექი, არაკაცები და არაქალები დაილექებიან და პარლამენტში არ შევლენ. ძალიან ეშინიათ მათ ლიდერებს, კოლექტიურ გვარამიებს და ბოკუჩავებს პარლამენტში შევლენ თუ არა, გაექცევიან პარლამენტარები... გადაბარგდებიან სხვა პარტიებში, რადგან მათაც უნდათ კარგი ცხოვრება. კარგი ხელფასი და არავითარი იდეები. გვარამიას, მელიას, ბოკუჩავას, ხაზარაძეს თუ გახარიას არავითარი პოლიტიკური იდეის მრწამსი არ გააჩნიათ... მათ შორის გამორიცხულია მკაცრი პოლიტიკური ალიანსი“.**

და, ბოლოს, რას გვპირდებიან თუ ქვეყნის სათავეში მოვლენ, რაიმე არსებითი პროგრამა ან პროექტი ხომ არ გაგიგიათ? მაშ, რისთვის უჭერთ მხარს ამ პარტიებს?!

ამერიკის პრეზიდენტი **აბრაამ ლინკოლნი** ამბობდა: **„ყველას ყველაფერს ვერ მოატყუებ“**. ფსევდოლიბერალებმა ისტორიის გაკვეთილებიც დაივიწყეს.

**ვალერიან ლომიძე.**

# კანონი უნდა კანონობდეს...

**არჩევნები ჩატარდა. ორმილიონნახევარმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებლად მოიპოვა გამარჯვება. ქვეყნის სათავეში მეოთხე ვადით კვლავ მმართველი პარტია იქნება. მან ხმების 54 პროცენტი აიღო და 89 დეპუტატით შედის პარლამენტში. სასტიკი მარცხი განიცადა არჩევნებში ოპოზიციამ, რომელმაც 2012 წლიდან დღემდე არჩევნები ყველა წააგო.**

ჩვენთან ყველაფერი უკუღმა ხდება. ამერიკაში დამარცხებულმა პარტიამ მაშინვე მიულოცა დონალდ ტრამპს გამარჯვება, როცა საქართველოში უფრო მაღალ დონეზე ჩატარდა არჩევნები, ვიდრე - ამერიკაში, მაგრამ მილოცვა არავის გახსენებია.

ხალხი მანდატს განდობს, შენ უკვე გევალება ხალხზე ზრუნვა, ეს პოზიციასაც ეხება და ოპოზიციასაც. პარლამენტი კანონშემოქმედი უნდა იყოს. ამ დროს გამოდის ოპოზიცია და იძახის, გაყალბდა არჩევნებიო, როცა არჩევნები ელექტრონული წესით ჩატარდა და გაყალბების შანსი არ იყო.

ვიცოდით, რომ ოპოზიცია არჩევნების მეორე დღისთვის ემზადებოდა, როგორც წინა არჩევნების შემდეგ მოიქცნენ, ზუსტად იგივე გაიმეორეს, ატეხეს განგაში, არჩევნები მოგვპარესო. არადა, არჩევნების წინ, კარგად მახსოვს, ჟურნალისტმა ვახო ხუზნიაშვილმა მოწვეულ სტუმარს, ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთ წარმომადგენელს რომან გოცირიძეს დაუსვა კითხვა, როგორ შეიძლება ,,ქართულმა ოცნებამ“ ელექტრონული წესით არჩევნები გააყალბოსო. ბევრი ეცადა გოცირიძე თავი აერიდებია პასუხის გაცემისთვის, მაგრამ ხუზნიაშვილი რომ არ მოეშვა, ასეთი პასუხი გასცა: **- ხალხის მოსყიდვით, დაშინებით მოხდებაო.**

ჩატარდა არჩევნები, მართლაც ჩამოეკიდა ოპოზიცია ამ ვერსიას, მაგრამ ვერაფერს გახდა, მტკიცებულებები მოსთხოვა საგამომძიებლო ორგანომ, მაგრამ მტკიცებულებები რაც არ ქონდათ, რას მიუტანდნენ. პირიქით კი მოხდა, ,,ქართულმა ოცნებამ“ 102 საქმე წარადგინა საგამომძიებო ორგანოში, ოპოზიციის მიერ დანაშაულებები იყო ჩამოთვლილი.

გარდა ამ ფაქტებისა, ოპოზიციამ ,,ქართული ოცნების“ სახელით თავისი მომხრეები გაუშვა დამკვირვებლებად სხვადასხვა რეგიონებში, რათა ხმები დაკარგვოდა ,,ქართულ ოცნებას“, 400 ასეთი შემთხვევა გამოსაძიებელია. ოპოზიციას გაღმით შედავების მაგივრად, გამოღმით არაფერი დარჩა.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა უშველა მათ გაჭირვებას, თურმე ბიულეტენზე, მეორე მხარეს ლაქის სახით ჩანდა მონიშნული პარტია, მაგრამ ის ბიულეტენი ხომ ჩარჩო-კონვერტში იდებოდა. ახლა უფრო დიდ გულზე გამართეს ყვირილი, რომ გამჭვირვალობა დაცული არ იყო, უფრო რიხიანად მოითხოვეს არჩევნების შედეგების მთლიანად გაბათილება და ხელახალი ჩატარება.

აქციებზე ერთიანი ,,ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა, **თინა ბოკუჩავამ** აღნიშნა, რომ მარკერი ტოვებდა სწორედ იმ კვალს, რომლის საფუძველზეც ილახებოდა ფარულობის და შესაბამისად თავისუფალი ნების გამოხატვის კონსტიტუციური პრინციპები. არადა, ცარიელი ფურცლებით წარსდგნენ სასამართლოში და ერთმა მოსამართლეთაგანმა, იმ მოდავე პირს კარგად უთხრა, რომ ბიულეტენზე გაფერადებული წრე მართლაც ჩანდა მეორე მხარეს, მაგრამ ის ხომ ჩარჩო-კონვერტში იყო ჩასმული, თუ მაინცდამაინც ეს არ გაკმაყოფილებთ, აპარატში გაშვების პროცესს მხოლოდ წამნახევარი სჭირდება და ამ დროის განმავლობაში ნამდვილად შეუძლებელია, ჯერ თვალი მოკრა იმ გამოჟონილ ლაქას, თან გაიაზრო, ტექსტს ხომ ვერ დაინახავ და რანაირად შეიძლება მიხვდე, თუ ვის მისცა ხმა ამომრჩეველმაო.

TV პირველის ჟურნალისტის **ინგა გრიგოლიას** ტელეეთერიდან დამცინავი კილოთი ნათქვამი სიტყვები ახლაც ყურში ჩამესმის: **- მართლა გჯერათ, ხალხო, მეოთხე ვადით ,,ქართული ოცნების“ გამარჯვების?**

- ჩვენ, ,,ქოცებს“, მართლა გვჯერა, ქალბატონო ინგა და თუ თქვენ არ გჯერათ, თქვენთვის უკეთესი, თორემ შეიძლება ბოღმით გულიც გაგისკდეთ. ეს კი ნამდვილად

არ გამეხარდება. თქვენ მართლაც ნიჭიერი ჟურნალისტი ხართ და ჩემი სურვილი იქნება, თქვენი ნიჭი სიმართლის თქმას მოახმაროთ.

ოთხი ოპოზიციური პარტია მოხვდა პარლამენტში და ყველა ,,მოწამლულები“ არის დასავლეთიდან წამოსული დავალებით. არადა, სწორედ ახლა გააქტიურდა ევროკავშირი, როცა ტრამპის ინაუგურაცია ჯერ არ ჩატარებულა, თითქოს ასწრებენ, გამოდიან და შანტაჟის ენით ელაპარაკებიან საქართველოს ხელისუფლებას. თუ იმ დავალებებს, რაც მათ სურთ, არ შეასრულებს ახლადარჩეული ხელისუფლება, მათი ევროკავშირში გაწევრიანება არ მოხდება, მარტო ამით არ კმაყოფილდებიან, უვიზო რეჟიმის გაუქმებითაც გვემუქრებიან. ისინი ჩვენ ქვეყანას ძირს უთხრიან, თუნდაც გამჭვირვალობის კანონის და ოჯახური სიწმინდის პროპაგანდის დასამკვიდრებლად საქართველოში მიღებული კანონების უკან გაწვევას გვაძალებენ.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე დაჟინებით მოითხოვს ევროკავშირის წევრებისაგან განუმარტონ, თუ რატომ არის კანონსაწინააღმდეგო გამჭვირვალობის კანონი ევროკავშირში გაწევრიანებისათვის უკანონო და ლგბტ პროპაგანდის მიუღებლობაზე რატომ უწევენ საქართველოს წინააღმდეგობას.

ოპოზიციური პარტიებიც ევროკავშირის მოთხოვნებს იზიარებენ, რა თქმა უნდა, გაიზიარებენ, როცა მათგან ფინანსდებიან.

**გიორგი გახარიამ** ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის კანონზე ასე განაცხადა: **-ოცნება ბავშვების ზურგს ამოეფარა.** ამის შემდეგ მიდი და იწამე ოპოზიციური პარტიების მიერ გაჟღერებული ბრალდებების ობიექტურობის.

ყველა ევროპარლამენტის ,,ერთ ქვაბში მოთავსება“ უნამუსობა იქნებოდა. აი, ბრიუსელში ჩვენი ქვეყნის დასაცავად გამოსული ზოგიერთი პარლამენტარის შეფასება: ევროპარლამენტარი ჰანს ნოიჰოფი **- ქართველები ამაყი ხალხია, ისინი ღია არიან ევროპისთვის, მაგრამ მათ არ სურთ დაემორჩილონ ბრიუსელის „ცისარტყელის“ დღის წესრიგს - ვისწავლოთ საქართველოსგან! ევროპარლამენტარი ლუბოშ ბლაჰა: - დემოკრატია, როგორც ჩანს, დასავლეთისთვის მხოლოდ მაშინ მუშაობს, როდესაც ისინი იგებენ - ახლა კი შეშფოთებულნი არიან, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ მათი ოცნება დაასრულა.**

ოპოზიციას არაფერი რომ არ გამოუვა, ეს აშკარაა. ახლა ცესკოსგან კანონმდებლობის მოხსნას ითხოვენ, რასაც საარჩევნო კანონი არ ითვალისწინებს, სანამ პარლამენტის პირველი სესია არ გაიმართება.

16 ნოემბერს ცესკოს სხდომა გაიმართა, სადაც არჩევნების შედეგები უნდა შეეჯამებიათ. ცესკოს თავმჯდომარეს კალანდარიშვილს, ერთიანი ,,ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, კირთაძემ შავი საღებავი შეასხა სახეში. ნახევარი საათის შემდეგ თვალახვეული კალანდარიშვილი დაბრუნდა თავის ადგილზე და შემაჯამებელ ოქმს ხელი მოაწერა.

რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიების ქმედებებს, კირთაძის ქმედება მოიწონეს და მადლობაც გადაუხადეს. არც უფიქრიათ იმაზე, რომ ამ მოქმედებით მათმა წევრმა მარტო კალანდარიშვილს კი არა, მთელ ქართულ საზოგადოებას შეასხა შავი საღებავი, და ამით ხმამაღლა უთხრა, რომ ოპოზიციას ეზიზღება თავისი ხალხი. იმაზე არც უფიქრიათ, რომ შავ ლაქას ოპოზიციური პარტიები ვერასოდეს მოიშორებენ, ისტორიაში შავი ლაქით შევლენ.

**„ქართული ოცნება“ რადიკალურ ოპოზიციას მაშინ დაასრულებს თუ კანონს გაამკაცრებს ყველა სფეროში. თუ გვინდა, რომ უკანონობამ არ იზეიმოს, როგორც ახლა ხდება, თორემ არასოდეს ეღირსება ქართველ ხალხს მოსვენება.**

**კანონი უნდა კანონობდეს...**

**ნათელა იჩქიტიძე.**

## თვითდასაქმებული მოქალაქეები

**სტატისტიკურად დასაქმებულ მოქალაქეებად ითვლება თვითდასაქმებული პირები, რომლებიც ეწევიან და ქმნიან ხელნაკეთ ნივთებს, ხოლო სამომავლოდ ავითარებენ მცირე ბიზნესს.**

გასულ კვირას ანონიმურად მოქალაქემ დაწერა, რომ იყიდება ბადაგში ამოსავლებად გამზადებული ჩურჩხელა 20 სმ. ცალის ფასი 1 ლარი. აქვე მიაწერა, რომ პროდუქტს ამზადებენ შეკვეთით.

პოსტს უამრავი გამოხმაურება მოჰყვა. მყიდველები მრავლად გამოჩნდნენ. კარგ იდეასა და შემოთავაზებას ყოველთვის ეყოლება მსურველი.

წაკითხვისთანავე გავიფიქრე, რომ რამდენად სწორი და დროის შესაბამისი გათვლა იყო მომხმარებლებისთვის, რომლებიც სურსათის დახედვისთანავე მაცდუნებელ თანდართულ ფოტოს გულგრილად გვერდს ვერ აუვლიდნენ. მოქალაქეს კი შესაძლებლობა მიეცემოდა თვითდასაქმებით შრომის შესაბამისი ანაზღაურების რა გითხრათ, მაგრამ პროდუქტს, რომ მყიდველი მრავლად შეიძენდა, ფაქტია. რა თქმა უნდა, ასეც მოხდა, თუ გამოხმაურების რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ.

სასიამოვნო ფაქტია, როდესაც მოქალაქე საკუთარი შრომის რეალიზებას ასეთი ფორმით ახდენს, იყენებს ინტერნეტ რესურსს, თავაზობს ნატურალურ პროდუქტს მოქალაქეებს აბსოლუტურად მისაღებ ფასად. თუ მივყვებით რამდენ დროს და ადამიანურ რესურს მოითხოვს კაკლის შეგროვება, შემდეგ გარჩევა, ძაფზე ასხმა და გასაყიდად გამზადება, და ბოლოს, უამრავ ზარსა და შეტყობინებაზე პასუხის გაცემა, მარტივ ამბად ნამდვილად არ მოგვეჩვენებათ. ფასი არ გეძვირებათ, ამ ფონზე მართლაც, ბევრად იაფიაო, იტყვით.

ასე აგროვებენ ბორჯომელები სეზონურად და ყიდიან გირჩის მურაბას, ფიჭვის მტვერს, ნაძვის კევს, რომლის ფასმა საგრძნობლად მოიმატა. რამდენიმე დღის წინ მეგობარმა მცირე რაოდენობით შეიძინა და 10 ლარი გადაიხადა. ნაძვის კევის შეგროვებაც არ არის მარტივი საქმე. დამეთანხმებიან, ვისაც ხის კენწეროში ამ საოცარი არომატის ბუნებრივი საღეჭი კევის მოსაპოვებლად უმრომია.

ასე აცხობდა ბორჯომელი ქალბატონი შოთის პურებს ყვიბისში.

ასე თავაზობს, სხვადასხვა პროდუქტის დამზადებასა და მიწოდებას არა ერთი ბორჯომელი თანამოქალაქეებს, როგორც სეზონურად ასევე არა სეზონურად, და შესაბამისად ახდენს პროდუქტის რეალიზებას. აღნიშნული მათთვის მცირე შემოსავლის წყაროა და ისინი თავს თვითდასაქმებულად თვლიან. სწორედ ასეთი იდეები იქცევა ხოლმე დიდი ამბის დასაწყისად. გისურვებთ იმედების გამართლებას. თვითდასაქმებულის სტატუსიდან დამსაქმებლის სტატუსამდე გადანაცვლებას.

**იზა იანვარაშვილი**

## პირველი ლაურეატი ბაკურიანელია

**სერბეთის ქალაქ** ბელგრადში ჩატარდა ბიატლონის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომელსაც საქართველოდან ესწრებოდნენ ბიატლონის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ნიკოლოზ ბუძიშვილი**, ვიცე-პრეზიდენტი **ეკატერინე ვეშაგური** და ფედერაციის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **ალექსანდრე ბუძიშვილი**. საერთაშორისო ფედერაციამ დააწესა ახალი ჯილდო - ინდივიდუალური საპატიო სერთიფიკატი, რომლის პირველი ლაურეატი გახდა **ალექსანდრე ბუძიშვილი.** კონგრესმა ერთსულოვნად მიულოცა ბატონ ალექსანდრეს აღიარება, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოში ბიატლონის განვითარებაში. მისი აღზრდილი სპორტსმენები სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობენ. წლების განმავლობაში ალექსანდრე ბუძიშვილი იყო ბიატლონის საერთაშორისო ფედერაციის არბიტრაჟის თავმჯდომარე. მისი ინიციატივით დაარსდა აზიის ჩემპიონატები. მინიჭებული აქვს საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში იყო სათხილამურო სპორტის ალპინიზმის და ტურიზმის კათედრის პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს ათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. აღსრულდა მისი ოცნება-მცდელობას, შეხვედრებს, მოლაპარაკებებს საერთაშორისო ფედერაციასთან უკვალოდ არ ჩაუვლია - მომავალი ზამთრის ოლიმპიური ფესტივალისთვის ბაკურიანში შენდება ახალი ბიატლონის ტრასა. აღიარება ბატონ ალექსანდრეს მიულოცა საქართველოს ბიატლონის ფედერაციამ.

## სკვერებად ქცეული ქუჩის კუთხეები



**მოსახლეობის თხოვნა მინი სტადიონებისა და სკვერების აშენება-მოწყობის შესახებ მუდმივად განიხილება და ბორჯომელთა ინტერესების, მოთხოვნების შესაბამისად იგეგმება. განხორციელების გზებსა და ფინანსური მხარის მოგვარების შემდეგ ჩვენს ქალაქში იქმნება გარემო, რომელიც ერწყმის მოქალაქეთა მოთხოვნებს.**

ვისაც ბორჯომის საავადმყოფოს ქვედა მხარეს გაგივლიათ, შენიშნავდით იქვე გზასთან მოწყობილ მინი სკვერს, რომელიც გარემოს სასიამოვნოდ ერწყმის და ფუნქციურადაც დატვირთულა. იქვე აშენებული საოჯახო სასტუმროს სტუმრებიც რომ ისარგებლებენ და პაციენტების გამოჯანმრთელების მომლოდინე ოჯახის წევრები თუ ახლობლები გულს მცირედ გადააყოლებენ.

ასეთივე პატარა სკვერია მოწყობილი ჩარხისწყლის ხიდთან, სადაც ულამაზესი მტკვრის ხედი იშლება და ფეხით სეირნობისას გულგრილად ჩავლას ვერც ერთი თანაქალაქელი და სტუმარი ვერ შეძლებს.

სკვერების სიმრავლესა და მრავალფეროვან ბავშვთა გასართობ სივრცეებს შეხვდებით ვაშლოვანის დასახლებაშიც. აქ, ხალხმრავლობას სკვერისა და მინი სტადიონის გახსნის პირველ თვეებში უფრო მეტად შენიშნავდით. მიხარია, დაზიანების გარეშე დღეს ასე მოვლილი რომ არის, როგორიც თავდაპირველად იყო, თუმცა მსგავსი სიტუაცია ნამდვილად არ იგრძნობა, სკოლის უკან დადგმულ ტრენაჟორებზე, რომელთა უმრავლესობა დაზიანებული ან გატეხილია.

ასე კუთხე-კუთხე, პატარ-პატარა ადგილებით იქმნება სასიამოვნო გარემო, სადაც ვცხოვრობთ ოჯახის წევრებთან ერთად და ვფიქრობ, შეხსენებაც აღარ უნდა გვჭირდებოდეს, რომ მოვუფრთხილდეთ თითოეულ გაკეთებულ საქმეს. მათზე ვისწავლოთ ზრუნვა, რაც შექმნის სილამაზეს და უკეთეს გარემოს ჩვენს ირგვლივ. არ დააზიანოთ, მოუფრთხილით, იზრუნეთ და ასე მიეცით სხვას მაგალითი.

ბორჯომის ქუჩების კუთხეებმაც კი შეიძლება, ფუნქციურად მრავალფეროვანი გახადოს გზა - სწორედ იმ ერთმა დარგულმა ხემ, იმ ერთმა საქანელამ და იმ ერთმა დადგმულმა ბაღის სკამმა.

**იზა იანვარაშვილი**

### წიგნის თარო

## საინტერესო ცნობები ბორჯომის ისტორიიდან

მდინარე ბორჯომულას მარცხენა ნაპირზე 1890 წელს ააშენეს ვინმე კუჩუროვის აგარაკი. დღეს ამ ლურჯ შენობაში კომპანია ბორჯომის მინერალური წყლებისა და ბორჯომის გეოლოგიური სამმართველოს ოფისებია.

1890 წელს დღევანდელ კოსტავას მოედანზე გაიხსნა ბერძენი ვაჭარის ჩალაბოვის წითელი აგურის შენობა-სასტუმრო. იქვე, მოედანზე ბერძენმა ვაჭარმა ფოლადოვმა ააშენა სასტუმრო „გრეცია“. (ყოფილი სამშენებლო ტრესტის შენობა), დღევანდელი 9 აპრილის ქუჩაზე ყველაზე ლამაზი, დიდებული აგარაკი „ფირუზა“, რომელიც 1895 წელს, საქართველოში ირანის გენერალურ კონსულს, მირზა რეზა ხან არფა ად დოულეს საყვარელი ქალისთვის მიუძღვნია, ასე ამბობენ.

ცნობილია ისეთი ხუმრობები, როცა ბორჯომელი ვაჟები საბჭოთა „რკინის ფარდის“ იქით მოხვედრილები საზღვარგარეთელ გოგონებს თავს აწონებდნენ - უჩვენებდნენ ამ შენობის წინ გადაღებულ სურათს, თითქოს და ამ სახლში ცხოვრობდნენ მდიდარ მშობლებთან ერთად...

1900 წელს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რკინის ხიდთან, არქიტექტორ ვ. შვეიერის პროექტით აშენდა კავშირგაბმულობის კანტორა. 1972-2002 წლებში ამ შენობაში რაიონული გაზეთის რედაქცია იყო განთავსებული. ეს წითელი შენობა დღეს რამდენჯერმეა გასხვისებული.

ერთი სიტყვით, იმ პერიოდში, როცა საქართველოში ფეოდალური წყობა იყო, ბორჯომში კაპიტალისტური დონის მშენებლობები მიმდინარეობდა.

### რკინიგზა ბორჯომში

**1894 წელს დამთავრდა** ხაშურ-ბორჯომის რკინიგზის ხაზის მშენებლობა. ამ გზაზე დაიწყო რეგულარული მიმოსვლა თბილისსა და ბორჯომს შორის.

1897 წელს რომანოვებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს ბორჯომიდან ბაკურიანის მიმართულებითაც ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანა. მაღალმთიან ადგილებში კურსირებისთვის მათ სპეციალურად ინგლისიდან ჩამოიტანეს

„პორტერის“ ტიპის ორთქლმავალი, ღია მოაჯირებით შემორაგული.

ბორჯომ-ბაკურიანის გარდა, ახლა უკვე მგზავრობა შესაძლებელი გახდა წაღვერის, ცემის, ლიბანის, ტბის, დაბის, საკოჭავისა და სხვა საკურორტო ადგილებამდე, მომავალში კი - ანდეზიტის საბადომდეც.

1902 წელს მდინარე ცემისწყალზე აშენდა ხიდი, რომელიც ბაკურიანის რკინიგზით, წაღვერს ცემთან აკავშირებდა. ხიდის კონსტრუქცია შექმნილია ფრანგი მშენებლის გუსტავ ეიფელის მიერ.

XX საუკუნეში, კერძოდ 1967 წელს პატარა ორთქლმავალი ელმავალმა შეცვალა... სწორედ ის ორთქმავალი დგას პიედსტალზე „ჩარხისწყლის“ დასახლებაში, სამუზეუმო ექსპონატის სტატუსით...

აღნიშვნის ღირსია რკინიგზის ყველა პატარა სადგურები, რომლებიც ბორჯომ-ბაკურიანის გზაზეა. ევროპულ სტილში ნაგებ ამ ლამაზ შენობებს, ფასადზე მიკრული ჰქონდა აბრა, რომელიც აღნიშნავდა ზღვის დონიდან არსებულ სიმაღლეს.

### ელსადგური

**1898 წელს ბორჯომის** პარკში მდინარე ბორჯომულაზე აიგო და ამუშავდა ამიერკავკასიაში ერთ-ერთი პირველი ჰიდროელექტროსადგური.

პროექტი განახორციელა პარიზის აკადემიის და ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის დირექციის წევრმა, ქიმიური ლაბორატორიის გამგე, ფრიდრიხ ფრიდრიხის ძე მოლდენჰაუერმა.

ამავე დროს, ქვემოთ, პარკში აშენდა ქვის ორი შენობა (არქიტექტორი ვ.ს.შერგარტი). ერთში დამონტაჟდა ელექტროაგრეგატები და წყლის ძრავები, ხოლო მეორე შენობაში განათავსეს ჰიდროელექტროსადგურის მმართველობა და სახელოსნო სივრცე აკუმულატორებისთვის, აგრეთვე გათვალისწინებული იყო საცხოვრებელი ზედამხედველ-ელექტროტექნიკოსთათვის.

ელექტროსადგური ფუნქციონირებდა 1952 წლამდე და გამოიმუშავებდა ელექტროენერგიას ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნისა და მდიდარი მოაგარაკეებისათვის. საბჭოთა პერიოდში შენობაში ცხოვრობდა ელსადგურში დასაქმებულთა რამოდენიმე ოჯახი.

### ბაღ-პარკები

**- ბორჯომში, XIX საუკუნეშივე,** 5 პარკი გაშენდა: ვორონცოვისა - პლატოზე, რემერტისა - მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მინერალური წყლისა - მდინარე ბორჯომულას ხეობაში, მიხეილ და ნიკოლოზ რომანოვების სასახლეების პარკები.

ვორონცოვის პარკი მდებარეობდა ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლეზე, პლატოდ წოდებული - მინერალური წყლების პარკის თავზე, ამ მაღალი ადგილის რელიეფი, სავარაუდოდ, ვულკანური წარმოშობისაა. 1885 წელს გაუშენებიათ ყვავილნარის სათბური, მოუწყიათ შადრევნები, ესტრადა, საბილიარდო, რესტორანი და სხვა.

პლატოს ტერიტორიაზე, საბჭოთა პერიოდში, აშენდა დასასვენებელი სახლები და ტურისტული ბაზა. მინერალური წყლების პარკიდან აქ ამოსასვლელად - 1962 წლიდან, მოქმედებს საჰაერო-საბაგირო გზა.

მინერალური წყლების ცენტრალური პარკი - ეს ტყით დაბურული, გრილი ადგილი, პატარა, მოჩუხჩუხე მდინარით, რომელიც სავსეა სხვადასხვა ფორმის დიდ-პატარა ქვის ლოდებით - დღესაც საუკეთესოა, შესანიშნავ, დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს. აქ სინესტეს და ბალახის სისველეს ვერ იგრძნობთ. მინერალური წყლების პარკი ერთ-ერთი თვალწარმტაცი ადგილია ბორჯომში. რომანოვებს უზრუნიათ, რომ აქ, მდინარე ბორჯომულას გასწვრივ, გაეყოლებიათ სავალი გზა, რომელიც მდინარეს ვიწრო ხეობად აჰყვება დაახლოებით 4,5 კილომეტრის მანძილზე, გოგირდის აბანოებამდე.

გზად შეგხვდებათ მდინარეზე გადებულ კოხტა, პატარა ხიდებს მშფოთვარე ენერგიულ ბორჯომულასთან ერთად, ძალიან უხდება იქაურობას და მხატვრულ, მიმზიდველ იერს აძლევს პარკს. ამ მოკლე ხიდებით ხან მდინარის მარჯვნივ, ხან კი მარცხნივ ვექცევით. თან ხიდები საინტერესოა, როგორც საინჟინრო ნაგებობა. თითოეული ხიდის საყრდენი ბურჯები საგულდაგულოდაა გამოკვეთილი. ხიდის შესაფერისი მოყვანილობისაა სხვადასხვა სტილის მოაჯირებიც.

ამ ხიდების ავტორი ინჟინერი **გ.ე. ზეზემანია.**

პარკს სხვადასხვა დროს მინერალური წყლის სხვადასხვა სტილის ბიუვეტები ამშვენებდა.

**მარიკა გელაშვილი**
**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ.**
**გაზეთი „ბორჯომი“ №45, 2024წ.**

პოეზიის კუთხე

## რა დაგემართა დღეს საქართველო...

რა დაგემართა დღეს საქართველო...
როცა ერს ყავდა გმირი მეფენი:
დიდი დავითი, დიდი ვახტანგი,
არ აქვს უფლება მის შთამომავალს,
რომ დაივიწყოს მათი ამაგი.
როცა ერს ყავდა გმირი დემეტრე,
ქეთევანი და მეფე - თამარი,
რა უფლება გვაქვს, არ დავივიწყოთ
მათ ღვაწლი და ნაამაგარი.
როცა, რომ გვყავდა სამასი გმირი,
სამასი გმირი - არაგველები,
ანდაცა, ცხრა ძმა ხერხეულიძე,
ცხრა მეომარი - მარაბდელები.
როცა რომ გვყავდა გმირი მაია,
გმირი პაატა მტერს შეწირულთან,
როცა ერს ყავდა მღვდელი თევდორე,
უფლის მსახური - ერის მლოცველი.
ასიათასი გვყავდა მოწამეც,
ვინც შეეწირა ქრისტიანობას.
და კიდევ ბევრი ვინც ენაცვალა
საკუთარ ქვეყნის ერთიანობას.
ჰოდა ასეთი წინაპრის მყოლსა,
რა დაგემართა დღეს - ქართველებო,
ლამის რომ გაანადგურე
ერთ დროს დიდრონი საქართველო.
ის საქართველო, რომლის საზღვრებიც
გვედო ფსოუდან და დარუბანდამდე,
როცა ყოველდღე ბრძოლები გვქონდა
ხან ოსმალოსთან და ხან სპარსის ჯართან.
ქარქაშში ხმალი არ ჩაგვიგია
მიტომ მოვედით, ალბათ აქამდე,
და მტერთან ომი თუ წაგვიგია,
ისიც მომხდარა მოძმის ღალატით.
სისხლით და ხმალით ვიცავდით მამულს,
ღვთისმშობლის მიერ ნაჩუქარ მიწას,
ვინ დაგვიბრუნებს უკან დაკარგულს,
როცა ყველა გმირს საფლავში სძინავს.

## სიმღერა ბორჯომზე

ყველა ლექსი და ყველა სიმღერა
შენ მოგიძღვენი ჩემო ბორჯომო,
ყველა სიტყვასა და ყველა ბგერას
ისე ვერ გკადრებ, რომ არ მოვზომო.
რაც მაცოცხლებს და რაც
მასულდგმულებს
შენი მკურნალი წყაროს წყალია,
რომ აჯადოებ სტუმართა გულებს,
ამიტომ შენსკენ მოუხარიათ.
ჩემო ბორჯომო, ჩემო ბაღნარო,
უშენოდ მე ხომ სულ ავად ვარ,
ჩემი მკურნალი კი, შენა ხარ,
მე კი ერთგული შენი ყმა.
,,შენი სახლები, შენი ქუჩები
ყველასთვის თბილი საბუდარია,
როგორც ლამაზი ქალის ტუჩების
შენი ფერებაც ისე მწყურია“.
თორის მთებიდან ნიავი ქროლავს
და ყვავილების მოაქვს სურნელი,
ზამთარში თეთრი ფიფქების თოვა,
საოცრებაა მართლაც ბუნების.
დილით გაღვიძებს ფრინველთ გალობა,
გულს დაგიამებს დუდუნი მტკვარის,
გინდა შესწირო უფალს მადლობა,
რომ აქ გაგვიღო სამოთხის კარი.
,,შენი სახლები, შენი ქუჩები
ყველასთვის თბილი საბუდარია,
როგორც ლამაზი ქალის ტუჩების,
შენი ფერება ისე მწყურია.

ჯემალ ბიბილური.

ჩანახატი

## შემოდგომის ზღაპრული ფერები

სულ სხვანაირად გვიყვარს ადამიანებს ის ადგილი, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ, სადაც ჩვენი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი ამბები და მოგონებები გვაკავშირებს. ჩემთვის გამორჩეული ჩემი მშობლების სახლია, სადაც სულ სხვანაირად მიხარია ყოველი დილის გათენება, ჩემ მშობლიურ სახლში დედის მოდუღებულ ფინჯან ყავასაც სულ სხვანაირი სურნელი და გემო აქვს. დღეს კი როდესაც ახლა უკვე სამი შვილის დედა ვარ, ამ ყველაფრის მიუხედავად, მამის თბილი ჩახუტება ისევ ბავშვობაში მაბრუნებს. მე განსაკუთრებულად მიყვარს ის გზაც, რომელსაც მთელი ჩემი ბავშვობა სახლიდან სკოლამდე გავდიოდი. მტკვრის სანაპირო ზოლი, მისი მოდუდუნე ხმა, გაზაფხულზე აზვირთებული ტალღები და გვიან შემოდგომით ყინვაშეპარული, თითქმის უხმაურო მდინარე.

გამორჩეულად ლამაზი, ძვირფასია ჩემი მშობლიური სკოლის ეზო, თავისი უზარმაზარი ნეკერჩხლის ხეებით. წელიწადის ნებისმიერ დროს ხომ ულამაზესია, თუმცა განსაკუთრებული სილამაზით შემოდგომით გამოირჩევა. დილით, ადრიანად ნეკერჩხლის ფოთლების ყვითელი ხალიჩით დაგებულ გზაზე გავლისას ბავშვობის მოგონებები ცოცხლდებიან.

მოგონებები კადრებად იწყებენ მოძრაობას. მახსოვს, ყოველ შემოდგომაზე, გაკვეთილების შემდეგ, მთელი კლასი ფოთლებს როგორ ვაგროვებდით. მერე ყვითელი ფოთლების გროვაში ხან



ერთი ვიმალებოდით, ხან მეორე. იყო ერთი ჟრიამული და შეძახილები.

რამდენიმე დღის წინ, ადრიანად გავიარე სკოლის ეზოში და შევნიშნე, მეეზოვე როგორ გვიდა სკოლის ტერიტორიას, თუმცა ნეკერჩხლის ხეებქვეშ ჯერ არ იყო მისული და გავიფიქრე, იქნებ მოვასწრო... და ყვითელი ფოთლების ხალიჩაზე სწრაფი ნაბიჯით გავიარე. - ხრაშ-ხრუში... გაისმა ხმელი ფოთლების შრიალი და გული სიხარულით ამევსო. ისევ ბავშვობაში დავბრუნდი. საოცარი სანახავია ქარის სულ მცირე წამობერვისას, ჰაერში დატრიალებული ფოთლების ვალსი, ცეკვა-ცეკვით რომ მოიწევენ მიწისკენ და ხალიჩად ეფინებიან დედამიწას. რა ბედნიერებაა,რომ ისევ შემოდგომის თბილი ამინდებია, ისევ ვალსს ცეკვავენ ყვითელი ფოთლები და ულამაზეს ხალიჩად ეგებიან სამყაროს, თითქოს სიცელქეს ასწრებენო, სანამ ზამთრის ცივ და თეთრ საბანს დაიხურავს გარშემო ყველაფერი და მეტად სევდისფერი დაედება სამყაროს.

ნატალია მესხელი

## საინტერესო ამბების სამყაროში

აქლემი სვამს მარილიან და მტკნარ წყალს. მას შეუძლია მკვდარი ზღვის წყალიც კი დალიოს და არაფერი დაემართოს. ეს იმიტომ ხდება, რომ აქლემის თირკმელებიდან წყალი ჟონავს; ისინი ანცალკევებენ მარილისგან და გარდაქმნიან მტკნარ სასმელ წყლად.

აქლემი ასევე ჭამს ეკლებს ისე, რომ არ ავნებს კუჭსა და ნაწლავებს, რადგან მისი ნერწყვი შეიცავს მჟავას და შლის ეკლებს.

აქლემს ორი ქუთუთო აქვს: ერთი თხელი და გამჭვირვალეა, მეორე სქელი და ხორციანი. როდესაც უდაბნოში ქვიშის ქარიშხალი იწყება, ხუჭავს გამჭვირვალე ქუთუთოს, რათა თავიდან აიცილოს ქვიშის მოხვედრა თვალში.

აქლემს შეუძლია სხეულის ტემპერატურის შეცვლაც: თუ ცივა, ის ზრდის ტემპერატურას, თუ ცხელა უდაბნოში, სხეულის ტემპერატურას იკლებს.

ამ მშვენიერი ცხოველის თვისებები შთამბეჭდავია.

ბუნება საოცარია! წყარო: National Geographic .

ჭადრაკი

## თეა თბილისის ჩემპიონია!

**29 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდა თბილისის ღია პირველობა ჭადრაკში 9, 11 და 13 წლის გოგონებსა და ვაჟებს შორის. მასში მონაწილეობდნენ ბორჯომის სპორტსკოლის მოსწავლე-მოჭადრაკეები, 11 წლის თეა რუსიტაშვილი და ბარბარე შონია.**

წარმატებით იასპარეზა თეამ. მან 7 შესაძლებლობიდან 6,5 ქულა მოაგროვა და მხოლოდ ბარბარესთან გააკეთა ყაიმი. იგი თბილისის ჩემპიონი პირველად გახდა.

მეტის მიღწევა შეეძლო თბილისის ორგზის ჩემპიონს ბარბარე შონიას. იგი მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა. ბარბარე პარალელურად ვაჟების ჩემპიონატშიც მონაწილეობდა და ალბათ ,,გადაიტვირთა“. 27 მონაწილე ვაჟს შორის ბარბარე აქაც მეხუთე იყო.

უფრო ადრე, 28 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე, თეა მონაწილეობდა თბილისში გამართულ ჩემპიონთა პირველობაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ასაკის გოგონები და ვაჟები, ასევე უფროსი ასაკის ქალები და კაცები. თეამ ქალებში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

თავის მხრივ, ბარბარემ თბილისის ჩემპიონატში წარუმატებლობა ერთი კვირის შემდეგ ,,გამოასწორა“. სწრაფ, 10-წუთიან პარტიებში 20 მონაწილეს შორის მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.

უჩა ჯანგირაშვილი,
მწვრთნელი.

## „დადუს სახელობის“ ნახატების გამოფენა

**15 ნოემბერს, ბორჯომში, „დადუს სახელობის ნახატების“ გამოფენა-გაყიდვა გაიმართა, რომელიც თვითნასწავლი მხატვრის, მაიკო აბზიანიძის ნახატებს მოიცავდა. გამოფენა დილის 12 საათიდან საღამოს 19 საათამდე გაიმართა. გამოფენისათვის საკუთარი სასტუმროს სივრცე, ბორჯომელმა ქალბატონმა მარინა წიქარიშვილმა მხატვრისთვის სრულიად უსასყიდლოდ გამოყო. მხატვარმა ამ დღეს დაახლებით 40-მდე ნამუშევარი წარმოადგინა. აღნიშნული გამოფენა თვითნასწავლი მხატვრისთვის რიგით მესამე გახლდათ. მისი ყველა გამოფენა ერთადერთ ვაჟს, დავით (დადუ) ხადურს ეძღვნება.**

**მაიკო აბზიანიძე** თვითნასწავლი მხატვარი: - დღევანდელ დღეს წარმოდგენილია ძირითადად პეიზაჟები, საოცარ ფერთა მრავალფეროვნება, რადგანაც მე პირადად მიყვარს სიფერადე, თუმცა მაქვს შავ-თეთრი ნამუშევრებიც, რომლებიც არანაკლებ ლამაზია, გამოფენა ყოველ ჯერზე ჩემ შვილს, დადუს უკავშირდება. მოხარული ვარ, რომ დღევანდელ დღეს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წამყვანი ფიგურა გახლავთ შესანიშნავი ბორჯომელი ქალბატონი, მარინა წიქარიშვილი, რომელმაც სრულიად უსასყიდლოდ დამითმო საკუთარი სასტუმროს გარკვეული სივრცე, რათა მსურველებს ფიზიკურ სივრცეში შეძლებოდათ ჩემი ნახატების ხილვა და სურვილის შემთხვევაში მათი შეძენა. ჩემ ნამუშევრებს ძირითადად ონლაინ სივრცეში ვყიდი, თუმცა ფიზიკურ სივრცეში უფრო მეტად აღიქმება ფერებიც და ნახატის რეალური სახეც. ბოლო ორი წელიწადია რაც ვხატავ და ამ ორი წლის განმავლობაში 900-მდე ნამუშევარი მაქვს შექმნილი. პეიზაჟებთან ერთად ვქმნი დეკორის ნამუშევრებსაც, რომლებიც არანაკლები მოწონებით სარგებლობს და კიდევ უფრო მეტად სასიამოვნოა ჩემთვის ის ფაქტი, რომ როდესაც მსურველი მეკონტაქტება და მეუბნება, რომ მე ახალი ბინა ვიყიდე, ან ახალი სამსახური მაქვს და მსურს, რომ თქვენი ნახატი შევიძინო, ამ დროს უბედნიერესი ვარ, რადგანაც ადამიანები ჩემ შემოქმედებას მათ ცხოვრებაში არსებულ სიახლესთან აკავშირებენ და ეს ყოველივე შემოქმედისათვის უმთავრესია. იქიდან გამომდინარე, რომ მსურველთა შესაძლებლობები განსხვავებულია, გავითვალისწინე და ყველაზე მცირე მოცულობის ნახატები, რაც დღეს წარმოვადგინე, მათი ფასი 30 ლარიდან იწყება. ნამუშევრები ტილოზეა აკრილის საღებავით შესრულებული, რომელიც სპეციალური ლაქით იფარება და არ ზიანდება.

**მადლობა, თითოეულ ადამიანს, ვინც მობრძანდა, უბრალოდ დაათვალიერა და საჩუქრად, ან უბრალოდ საკუთარი სივრცის გასალამაზებლად შეიძინა ჩემი ნახატები.**

ნატო მელიქიძე

„ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნაირა ალხაზიშვილს მეუღლის

ელგუჯა ჩიტაძის

გარდაცვალების გამო

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნაირა ალხაზიშვილს მეუღლის

ელგუჯა ჩიტაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ
1997 წელს,
რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა
ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
კორექტორი: ნანა კევლიშვილი